MES 1 20 0000525930

26/06/2020

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 15.06.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 15:15 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
სხდომის მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი-საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;

9. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი
12. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - სხდომის მდივანი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	მარიამ გრიგალაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
4	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ირმა ინაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
2	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	რექტორის მრცეველი	I
3	გიორგი ქვარცხავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი	I
4	ნინო ლომიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის	I

			უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
5	აკაკი გუნცაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერი	I
6	ლია ამირანაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი	I

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ქეთევან კინწურაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	გიორგი ჯაფოშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I

სსაქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა. საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (შენიშვნა: საკითხი იხილება ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე)
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

პირველი საკითხის განხილვა გადაიდო კვორუმის არ არსებობის გამო. კვორუმის არ არსებობის მიზეზს წარმოადგენს საბჭოს წევრების თვითაცილების შემდეგ დარჩენილი წევრების არასაკმარისი რაოდენობა. 8 ივნისის აკრედიტაციის საბჭოს ხსდომაზე, როდესაც საბჭოს წევრებს ეცნობათ 15 ივნისის დღის წესრიგის პროექტის შესახებ, საბჭოს წევრებმა - ირაკლი ბურდულმა, პაატა ბრეკაშვილმა, გიორგი თურქიამ და ნინო დობორჯგინიძემ განაცხადეს, რომ მათ აქვთ საკითხისადმი თვითაცილება. მათ განმარტეს, რომ რადგანაც, ისინი მონაწილეობას იღებდნენ პროგრამის საკითხთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში, შესაბამისად, იმისათვის, რომ საბჭოს წევრების მიერ წინასწარ შექმნილ აზრს და გამოცდილებას რაიმე სახის გავლენა არ ჰქონოდა საკითხის განხილვის პროცესსა და გადაწყვეტილების მიღებაზე, ასევე არაეთიკურობის მინიმუმამდე დაყვანისა და მაქსიმალური გამჭვირვალობის მიზნით, ისინი ვერ მიიღებენ მონაწილეობას აღნიშნული საკითხის განხილვაში.
ამასთან, დიმიტრი გეგენავას ჰქონდა თვითაცილება, ვინაიდან ის მონაწილეობდა წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, როგორც აკრედიტაციის ექსპერტი. ასევე, თვითაცილება უნდა ჰქონოდა თამარ ტუფინაშვილს, რადგან იგი საქმიანობდა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში.

შესაბამისად, აკრედიტაციის დებულების თანახმად, საბჭო უფლებამოსილია განიხილოს პროგრამის აკრედიტაციის საკითხი, თუკი სხდომას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გათვალისწინებულ რაოდენობაში არ ჩაითვლება საბჭოს ის წევრი, რომელსაც განსახილველ საკითხთან მიმართებით აქვს თვითაცილება და/ან აცილება. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საბჭოს წევრების მიერ გაცხადებული თვითაცილებების გათვალისწინებით, საბჭო არ იყო უფლებამოსილი, რომ განეხილა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრარული ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2017 წლის 15 სექტემბრის N66 გადაწყვეტილება.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	აგრონომიის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული

10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	-
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა დიმიტრი გეგენავა.
თვითაცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა მოკლედ მოეხსენებინათ და წარმოეჩინათ ძირითადი საკითხები და რეკომენდაციები.

ექსპერტთა მოსაზრება

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მიესალმა საბჭოს წევრებს. თითოეულ საბჭოს წევრს უსურვა წარმატებული საქმიანობა და განმარტა, რომ პროგრამას 2017 წლის საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთ წელში მონიტორინგით. შესაბამისად განხორციელდა პროგრამის მონიტორინგი სადაც უნდა შეფასებულიყო რამდენად შესრულდა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები. საკმაოდ ბევრი რეკომენდაცია იყო ამ პროგრამის მიმართ გაცემული. ამ მონიტორინგის მიმდინარეობის დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფმაა საკმაოდ სერიოზული მუშაობა გასწია ბევრი ასპექტით, განაახლა საბაკალავრო პროგრამა და წარმოადგინა იმ სახით რაც გულისხმობს რეკომენდაციების გათვალისწინებას. მონიტორინგის მიზანი იყო პირველი და მეორე სტანდარტების შეფასება, რომლების მიმართაც იყო ძირითადად რეკომენდაციები. ვიზიტი შექმნილი მდგომარეობის გამო განხორციელდა დისტანციურად. თუმცა ყველა დოკუმენტაცია იყო მიწოდებული ცენტრის და დაწესებულების მხრიდან და ესპერტებმა ასევე დამატებითი დოკუმენტაციაც გამოითხოვეს. წარმოდგენილ მასალაში იყო ისეთი დადასტურებებიც დამატებითი დოკუმენტების სახით რომლებიც აძლევდა ექსპერტებს საშუალებას კიდევ სხვა კუთხითაც შეეფასებინათ დამატებით პროგრამა. ამაზე ცენტრთან გაიარეს კონსულტაცია და დაუდასტურეს, რომ ერთი მხრივ რეკომენდაციების შესრულება მოწმდება და მეორე თუ პროგრამის შემოწმებისას გამოიკვეთა დამატებითი რეკომენდაცია, რჩევა შეუძლიათ აღნიშნონ დასკვნაში და დანარჩენი უკვე საბჭოს გადასაწყვეტია. ძირითადად შემოწმდა 1-ლი და მეორე სტანდარტი, მაგრამ ასევე შემოწმდა 4.1 კომპონენტი და მე-5 სტანდარტი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკმაოდ ბევრი ცვლილება განხორციელდა, დაემატა საგანები, მაგ. მეხილეობა, ასევე შინაარსობრივი მხარე დაემატა, დიდი აქცენტი იყო შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით რადგან სილაბუსებში ბევრი თემატიკა არ იყო გაშუქებული შინაარსობრივი თვალსაზრისით რომლებიც იმ შედეგზე გაიყვანდა სტუდენტს რაც სილაბუსში იყო მითითებული. ამ ეტაპზე ეს გათვალისწინებულია და ფაქტობრივად ყველა რეკომენდაციას მცირედი კორექტირებების გათვალისიწნებით შესრულებულია.
ექსპერტთა მიერ გაცემულია შემდეგი რეკომენდაციები:
1. საგანი „ენტომოლოგია“ და მისი სილაბუსის შინაარსობრივი მხარე არაა შესაბამისობაში. წარმოდგენილი სილაბუსის შინაარსი უფრო „სასოფლო-სამეურნეო ენტომოლოგია“და შესაბამისად სასწავლო კურსს უნდა შეეცვალოს დასახელება. გარდა ამისა ამ კურსის შინაარსში არ შეიძლება ყურადღება გამახვილებული იყოს მხოლოდ მავნებლებზე და არ იყოს ნახსენები სხვა მწერები, მითუმეტეს სასარგებლო მწერები; ამ კურსს წინაპირობად უნდა ჰქონდეს „ზოგადი ბიოლოგია“;

2. სასწავლო კურსს „ეკონომიკის პრინციპები“, წინაპირობად უნდა ქონდეს „მათემატიკის საფუძვლები“;
3. პროგრამის სილაბუსები სწავლის შედეგების ფორმულირებით შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სწავლის შედეგების ფორმირების ახალ მიდგომებთან; შემცირდეს კომპეტენციების რაოდენობა და გამსხვილდეს მისაღწევი შედეგები,რომ შესაძლებელი გახდეს სწავლის შედეგების უკეთ შეფასება;
4. გაახლდეს აკადემიური პერსონალის CV–ები;
5. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დიდ ნაწილს (ზაზაშვილი შოთა, ზაქარიაძე ნინო, უგრეხელიძე ვახტანგ, თედორაძე ომარი, შენგელია რევაზ, როჭიკაშვილი ეკატერინე, რობაქიძე ქეთევანი, რაზმაძე ნანა, ღლიღვაშვილი ვასილ, ბადრიშვილი გიორგი, ლაოშვილი ზურაბ, დოლიძე ვლადიმერ,დანელია ირინე) უკანასკნელი 10 წლის მანძილზე არა აქვთ გამოქვეყნებული სტატიები რეიტინგულ ჟურნალებში–გაახლონ პუბლიკაციები;
6. პროგრამის კურუკულუმში სასწავლო გეგმა გაწერილია 3 კურსზე (6 სემესტრზე), ცალკეა გამოყოფილი ცხრილი სპეციალობის სავალდებულო არჩევითი კურსებისთვის და თავისუფალი კომპონენტისთვის.სტუდენტის მიერ პროგრამის სტრუქტურის უკეთ აღქმისთვის მიზანშეწონილია ცალკე აღებულ ცხრილებში მოცემული აღწერილობის გათვალისწინებით,დაიხვეწოს (შეივსოს)სასწავლო გეგმის სტრუქტურა და მასში 180 კრედიტის განაწილებასთან ერთად გამოჩდეს მეოთხე კურსისთვის (მეშვიდე და მერვე სემესტრი)მორჩენილი 60 კრედიტის განაწილებაც.

იყო რეკომენდაციები უცხო ენასთან დაკავშირებით, წინა საბჭოზე ითქვა, რომ არის საერთო მიდგომა საუნივერსიტეტო უცხო ენებში, რომლებიც ყველა პროგრამაში ერთნაირად არის წარმოდგენილი და ეს ცვლის მიდგომას საკითხისადმი და მთავარია იმ შედეგზე გავიდეს რაც სილაბუსშია მითითებული. პრინციპში სხვა ჩაშლა არ არის სავალდებულო და სადაო საკითხს არ წარმოადგენს. რეკომენდირებული იყო არჩევით საგნად აკადემიური წერა ძირითადში გადასულიყო, მაგრამ აქაც იგივე მიდგომა დაინახეს. როცა პროგრამის აკრედიტაცია მიდიოდა თავად იყო ერთ ერთი-წევრი იყო ექსპერტთა ჯგუფის და დაწესეულებამ საბჭოს სხომაზეც დაადასტურეს დამოკიდებულება და დასკვნაშიც ასაულია, რომ იმ დროსვე გაივალისიწინეს. შეიცვალა საათობრივი ველი დატვირთვების თვალსაზრისით, წინა პლანზე წამოვიდა დარგობრივი კომპეტენციის მომცემი საგნები. მიუხედავად ამ ყველაფრისა. რჩევები და რეკომენდაციები გაცემულია პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.
პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ წინაპირობისა და სახელწოდებასთან დაკავშირებით ისინი კვლავ მხარს უჭერდნენ. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, ალბათ უპრიანი იქნებოდა, რომ წინაპირობად ჰქონოდა ეს საგანი, არგუმენტირებულ პასუხში დაწესებულების მხრიდან არაფერია, ალბათ ეთანხმებიან.
მესამე რეკომენდაციას რაც შეეხება, რეკომენდაციის დაწერის საფუძველი არის ის რომ თითქმის 3 წელი გავიდა აკრედიტაციის მერე შემდეგ მოდიფიცირება გაკეთდა 1 წელში, ყველაფერი გაითვალისწინეს, მაგრამ იმ ერთ წლის შემდეგაც ბევრი, რამ შეიცვალა მიდგომებში, ჩარჩო, სწავლის სფეროების კლასიფიკაციოტორში, შესაბმამისობის დადგენის წესი და აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ მათაც გარკვეული რეკომენდაცია მიეცათ შემდგომისთვის, რომ გაეთვალისწინებინათ. პასუხის თანახმად ეთანხმებიან, თუმცა შესაბამისი ბრძანებით ტექნკური უნივერსტეტს მიეცა საშუალება, რომ 2024 წლის 30 სექტემბრამდე გამოასწოროს აღნიშნული. ეს ჩანაწერი დიდ პრობლემას არ უნდა ქმნიდეს პროგრამის განხორციელებისთვის.
CV-ების განახლების რეკომენდაციას რაც შეეხება, მართალია მთლად დამაკმაყოფილებელი პასუხი არ არის ეტაპობრივად მიმდინარეობს, მაგრამ მოცემულ ეტაპზე არაა განახლებული. თუმცა მისასალმებელია, რომ ამ საკითხის მიმართ მათი დამოკიდებულება პოზიციტიურია და ითვალსწინებენ და ცდილობენ, რომ ეს პროცესი დაჩქარებული ტემპით გამოასწორონ. ესმის, რომ ეს შეიძლება იმითაა გამოწვეული, რომ სასწრაფოდ როცა გააკეთეს ყველაფერი მაშინ

განხორციელდა. თუმცა უმჯობესი იქნებოდა განახლებული რეზიუმეები წარმოედგინათ. შემდეგი რეკომენდაციაც ამას ეხებოდა, რადგანაც საკმაოდ პრეტენზიული პროგრამაა, ამბიცია არის, რომ მაღალი დონის სპეციალისტები მოამზადოს, თავისთავად ცხადია შესაბამისი აკადემური პერსონალით უნდა მოხდეს ამის განხორციელება. შესაბამისად მთლიანად ვერ იზიარებენ მათ პასუხს, თუმცა ესეც საბჭოს გადასაწყვეტია. ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მართალია გემოვნების საკიტხია, თუმცა ვიზუალიზაციის თვალსაზრისით ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია გააუმჯობესებს პროცესს.
ასევე აღინიშნა, რომ საუკეთესო პრაქტიკად ჩაითვალა უცხო ენის შეთავაზება დამატებით სტუდენტებისთვის კრედიტის მინიჭების გარეშე.

საბჭოს თავმჯდომარემ ѕთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ლომიძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. მან საბჭოსთან შეთანხმებით აღნიშნა, რომ ახალ რეკომენდაციებზე ისაუბრებდა ასევე დაამატა, რომ ძველ რეკომენდაციებზე სხვა გზა არ ჰქონდათ დარჩენილი გარდა მათი შესრულებისა.
პროგრამა 2 არილის დადგენილებით მოდიფიცირირდა. ასევე, უფლება აქვთ მინიჭებული შესაბამისი ბრძანებით 2024 წლისთვის უნდა მომხდარიყო 69/ნ ზე გადასვლა და კვალიფიკაციებიც უნდა შემცირებულიყო. აქედან გამომდინარე ცენტრში იმ მდგომარეობით წარედგინა პროგრამა რა მდგომარეობითაც უნდა გაევლო მონიტორინგი. უნივერტეტის მიერ სრულად იქნა გათვალისიწiნებული ყველა რეკომენდაცია საბჭოს მიერ და ასახული იქნა 2 აპრილის დადგენილებით მოდიფიცირებულ პროგრამაში. ექსპერტთა დასკვნაში არსებული ჩანაწერებიც ადასტურებს ამას. არა მარტო რეკომენდაციის გათვალისწინება მოხდა, არამედ პროგრამა განვითარდა ამ პერიოდის განმავლობაში.
პირველი რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დასახელებასთან დაკავშირებით ფუძემდებლები ვინც იყვნენ კალანდაძე, ალექსიძე, ყანჩაველი თვლიდნენ, რომ სასოფლო სამეურნეო ენტემოლოგია ისწავლებოდა ენტემოლოგიის ქვეშ. ის წიგნი რაც აქვთ მითითებული ამ სახელწოდებას ატარებს. წინაპირობას რაც შეეხება, თვლიან, რომ ბიოლოგია რადგან ზოგადია წინაპირობად განსაზღვრა ზოოლოგიის უფრო მართებული იქნებოდა.
მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ძალიან საკამათოა, ფიქრობენ, რომ მათემატიკა არ უნდა იყოს განსაზღვრული წინაპირობად. საბჭო შეაფასებს ამ საკითხს და რადგან ეკონომისტებიც არიან წევრებად, შესაბამისად იმედი აქვთ, რომ სათანადოდ გადაწყდება.
მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ გათავისუფლებულები არიან ამ ვალდებულებისგან და 2018 წლისთვის რა დოკუმენტაციაც ჰქონდათ იმის შესაბამისად წარმოადგინეს.
საბჭოს წევრმა მანანა კევლიშვილმა შეფასებითი კომენტარი გააკეთა, რომ იყო რეკომენდაციები რომელთა გათვალისწინებაც პროგრამის გადატვირთვას იწვევდა. შეეძლოთ, რომ რეკომენდაციების ნაწილი არ გაეთვალისწინებინათ, არ დათანხმებოდნენ, თუმცა ასევე აღნიშნა, რომ ჩანს ფაკულტეტის ნამუშევარი და საკმაოდ ბევრი აქვთ გაკეთებული.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ასევე აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმება იმ ნაწილში, რომ გაიცა 6 ახალი რეკომენდაცია. სამი აქედან ეხება სწორედ იმ რეკომენდაციებს რაც წინა საბჭოს მიერ იყო გაცემული. ასევე განმარტა, რომ საგანს ენტომოლოგია სახელი უნდა შეეცვალოს რადგან ძალიან ფართოა და მრავლისმომცველი და აქედან გამომდინარეა, რომ სასურველი იქნებოდა წინაპირობად ბიოლოგია ჰქონოდა. სახელმძღვანელოები რაც წარმოადგინეს 1962 წელს არის გამოსული, ნახევარი საკუკუნი წინ და ის არც ძირითად ლიტერატურაშია მითითებული და არც დამხმარეში. პერსონალთან დაკავშირებით CV-ების განახლებას რაც შეეხება 2017 წლის რეკომენდაციების შემდეგ თითქმის სამი წელი გავიდა და კარგი იქნებოდა განახლებულს თუ წარმოადგენდნენ უფრო რეალისტურ სურათს აჩვენებდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის საბჭომ, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყვიტა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა